სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

150 დავით აღმაშენებლის გამზირი
თბილისი,საქართველო
+995 32 295 00 30

12 / მარტი / 2025 წ.

KA020127812722425

№ **22/1190**

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
უფროსის მოადგილეს
ქალბატონ მაია ბერაძეს

ქალბატონო მაია,

თქვენი 2025 წლის 25 თებერვლის N 21/1436 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, 100 მგვტ სიმძლავრის „როდინაული 1“ და „როდინაული 2“-ის ქარის ელექტროსადგურების, 110 კვ ძაბვის ქვესადგურის და ქარის ტურბინების ქვესადგურთან დამაკავშირებელი 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის საპროექტო ტერიტორია, თანდართული დოკუმენტაციისა და სააგენტოში არსებული ინფორმაციის საფუძველზე, კვეთს წიაღით სარგებლობის მანგანუმი, შესწავლა-მოპოვება) ლიცენზია N 10002911 (შპს „მნ ტექნიკს“ (ს/ნ 402133400), ვადა - 18.01.2042 წ.) კონტურს.

„წიაღის შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აკრძალულია წიაღის ფონდის მიწების საკუთრების უფლებით, იჯარით ან სხვა ფორმით გაცემა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე, ხოლო ლიცენზირებული ობიექტის შემთხვევაში – აგრეთვე ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმების გარეშე.

საპროექტო ტერიტორია, ასევე, კვეთს ყვირილის ქვიშა-ხრეშის საბადოს კონტურს. წარმოდგენილი ტერიტორიის საბადოს კონტურთან თანაკვეთის ფართობზე (35916 კვ.მ) არსებული ქვიშა-ხრეშის მარაგი შეადგენს 107748 მ^3-ს. გარდა ამისა, ალტერნატიული ტერიტორია (ქვესადგური) შედის ამავე საბადოს კონტურში, სადაც თანაკვეთის ფართობზე (4357 კვ.მ) არსებული ქვიშა-ხრეშის მარაგია 13071 მ^3. ჯამური მარაგი, ალტერნატიული ტერიტორიის ჩათვლით, შეადგენს **120819 მ^3-ს.**

„ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, 1 პუნქტის „ა“ ქ/პუნქტის მიხედვით, 1 მ^3 ქვიშა-ხრეშის მოპოვებისათვის მოსაკრებელი შეადგენს 0.6 ლარს.

საბანკო რეკვიზიტები, რომელზეც ჩარიცხული უნდა იქნას საბადოს ტერიტორიაზე განაშენიანების სანაცვლოდ განსაზღვრული საკომპენსაციო თანხა:

მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი - TRESGE22

ანგარიშის ნომერი - 200122900

სახაზინო კოდი - 302003282

გარდა ამისა, საპროექტო ტერიტორია კვეთს ყვირილის დეპრესიის მანგანუმის საბადოს კონტურს. აღნიშნულ ტერიტორიაზე პროდუქტული ფენა განლაგებულია სიღრმეზე და საბადოს დამუშავების შემთხვევაში წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მიწისქვეშა სამთო გამონამუშევრების მეშვეობით. ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს წარმოდგენილი პროექტი, იმ პირობით, თუ აღნიშნულ ტერიტორიაზე არ შეიზღუდება სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების/მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესაძლებლობა.

დანართი: shp-ფაილები

პატივისცემით,

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული
სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნანა ზამთარაძე